

ივერია

„მარად და ყველგან, საქართველო, მე ვარ შენთანა, მე ვარო შენი თანამდევნი უკვლავი ხული“



№ 13, 1989 წლის 12 სექტემბერი

I 9 2 4

«სიკვდილზე ნუ დაფიქრებთ, ყველა იქ მიმავალია, იქ დაგხვდებიან ქართველი, ვინც სამშობლოსთვის მკვდარია».

ქაიხი. რა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლის, პოეტი-დიპლომატის მიხა ხელაშვილის ეს სიტყვები თითქმის გამოხატულებად იქცა 1924 წ. გვირგვინი გამოსცემისას. რა ხავერდოვანი და საბოლოო ავგისტოს-სექტემბერი საქართველოში რა წარმოუდგენლად მტკივნეული და დასანანი იქნებოდა იმ თხის ათასი ქართველისათვის სიკვდილის მოხვედრისთანავე განარჩენილი ამქვეყნიდან წასვლა... ან იქნებ უფრო ადვილიც, რადგან ისინი უფრო ადვილად ხედავდნენ რისთვისაც იხოვებოდნენ. სიკვდილი მარტო იმიტომაც ღირდა, რომ სამშობლოსთვის მკვდარად ადგილი იქ - ღვთის საუფლოშია.

მარიამობის თვეს ზეიმი და სიხარული ამ 65 წლის წინათ ქართველების დაუძინებელმა მტერმა უზღვევრებია და მწუხარებით შეგვიცვალა. ეს დრო ისტორიისათვის

ძალზე მცირეა, - დაღუპულ გმირთა სიხშილე მიწას არ შეშობია. ამდენად, 1924 წელი ქართველი ერისათვის უფრო მეტად ცემილი ზრიალია. პატივობიდან გაქცეულ კაცს კვლავ რომ დაიჭირონ და ბევრად უკაცრესად დასჯიან, სწორედ ასე დავიძარცვით ქართველ ერს 1921 წლიდან. ქართველობამ დღემდე არ იცის, რით დაიმსახურა ან ვინ მიუსაჯა მას ასეთი მკაცრი და ხანგრძლივი პატივობა. 1924 წელი - 1921, 1922, 1923 წლებიდან მზადდებოდა. მის ვენო-ციდამდე საბჭოთა რუსეთის ხელისუფლებამ ნელნელა უშვებდა ქართველი ხალხის სისხლს. ემიგრაცია, საპყრობილე, გადასახლება, სიკვდილით დასჯა, განადგურებული მოწინავე ქართული საზოგადოებრიობა, გაცივებული სოფელი და ქალაქი - აი მძიმე რეალური მახასიათებლები 1921-1924 წლების საქართველოს ისტორიისა. სად იყო მათი ზოგადი განსაზღვრის დღეს საფიქრად ქვეყნის ღვინური უმუხარო? ბოლშევიზმი საქართველოში ძალად მოქმედა. ისპობოდა საუკეთესო ქართული გენოფონდი. მკვიდრები ბოდა ანტისაზოგადოებრივ ყოფა.

კვლავ დამონებული ქართველი ხალხი, მზადება აჯანყებისათვის, მისი სუსტი ორგანიზაცია და დაბალი, გვირგვინი, თავგანწირული ბრძოლა, დამარცხება, სიკვდილი, გასახლება - ყოველივე ეს ცალკე აღწერის ღირსია. მსოფლიო საზოგადოებისაგან განწირული საქართველო, - საფრანგეთის მუშათა პროფკავშირული და ინგლისის ტრედ-იუნინთა დელეგაციები, ერთა ღვივის რეზოლუცია, მსოფლიო პრესაში ატეხილი აყვად მასალი საქართველოს ტრაგედიის ირგვლივ, მაგრამ... საქართველო მაინც დარჩა საძიძვად მსოფლიოში ყველაზე უმწიფარო, არადაამიანურ რეჟიმს. ადგილობრივი წარმომავლობის ბოლშევიკები პირველად გაძლენ ქართველთა სისხლით. მათ მიერ დამყარებული რეჟიმის წყალობით კი ისინი მომავალშიც გარანტირებულნი იყვნენ ახალ ახალი უღუფობით ამავე «კრძობად».

ყველა მისი ნაკლავანებებისა და შედეგების მიხედვად, 1924 წ. აჯანყება მნიშვნელოვანი ნიშანსტეხია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში. იგი წააგავდა იმ ღრმად ჩასუნთქვას, რომელიც

მელიც უპიკროდ დარჩენილ ადამიანს ხანგრძლივი დროით ესაპირობა.

1924 წლის მარიამობის თვე უძიძვისა ქართველი ერის ცხოვრებაში. ადამიანები ხშირად კიბოვლობენ, - რა დავაშავებო, რატომ მოგვისაჯა ასეთი განსაცდელი ღმერთმა ღვთისმშობლის დღესასწაულზე ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში? იაკობმა კი ამასთან დაკავშირებით თქვა: «ღმერთი არა ცდის ბოროტთა, ყოველი იცდება თავის გულისთქმით, რომელიც იტაცებს და აცდუნებს მას». დაიხ, ქართველი ერი XXსაუკუნეში ცდუნებული და გატაცებული უტოპიითა და ხელოვნური თეორიებით დღემდე იცდება თავის არასწორი გულისთქმით. როდესაც იგი დაუბრუნდება წმინდა ილია მართლის მიერ დასახულ ბუნებრივ განვითარების გზას, მაშინვე, როგორც ზღაპარში, ისე გაქრება ყოველი ხელოვნურად შექმნილი განსაცდელი და უზღვევრება, რაც კი ჩვენს ერს აწუხებს.

კახაბერ კახაძე

სახალხო დემუკრატია ყრილობაზე სსრკ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მ. ი. ლუკინი 1944 წელს სამხრეთ საქართველოდან შუა აზიაში გასახლებული ქართველი და არაქართველი მოსახლეობა ერთიანად მონათლა «თურქ-მესხებად». ამის გამო ხაშურის რაიონში წინა წლებში ჩამოსახლებულმა მესხებმა საპროტესტო დემონსტრაციები დაიწყეს.

მოსკოვი, ყრილობათა სასახლე
სსრკ კავშირის სახალხო დემუკრატია
ყრილობის პრეზიდიუმის,
ა. მ. ხ. ა. ი. ლუკინის

ჩვენ, საქ. სსრ ხაშურის რაიონში მცხოვრები მესხები გამოვთქვამთ უპაყოფილებას და აღშფოთებას თქვენის გამოსვლის ერთგული განმარტების გამო, სადაც თქვენ თურქი მესხები გვიწოდებ. მესხები არასოდეს ვყოფილვართ თურქები, ჩვენ უძველესი ქართული ენის შვილები ვართ, მოვიხიბოვებ მისცედა ვასწორება.

ხაშურის რაიონში მცხოვრები მესხების სახელით ბადრი მეტონიძე.
1989 წლის 2 ივნისი

ამ დემუკრატია, როგორც მოსალოდნელი იყო, მესხებს პასუხი არ მიუღია. ამის შემდეგ მესხებმა საპროტესტო წერილი მიმართეს მ. ს. გორბაჩოვის:

სსსკ მკ პინდარლ მდინეანს,
სსრკ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის
მინიკილ სმრბის-მე პირზაროს
მ ი მ ა რ მ ე ა

ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ, თბილისსა და ფრეზანის ტრაგედიებამდე, ჩვენ გვწამდა გარდაქმნისაც, საჯაროობისაც, დემოკრატიისაც. დღეს კი, ჩვენთვის, სამშობლოში დაბრუნებული მესხებისთვის, ყოველივე ეს ცარიელი სიტყვებია. ჩვენ გვაკვირვებს და გვაოცებს თქვენი სიმშვილე და გულგრილობა ქართველი ხალხის მიმართ.

ჩვენი, მესხების საერთო უპაყოფილება და აღშფოთება გამოიწვია ყრილობის მაღალი ტრიბუნლიდან ამა, ლუკინის მიერ მესხების ეროვნული კუთვნილების შეფასებაში. ჩვენ, მესხები, არასდროს ვყოფილვართ თურქები. ჩვენ უძველესი ქართული მიწის შვილები ვართ. ჩვენ მოვიხიბოვებ ვასწორება, მაგრამ პასუხი დღემდე არ მიგვიღია მოსკოვიდან.

ტერინი "თურქი-მესხი" სპეციალურად იქნა გ. მოგონილი მევის კოლნობა-ტორების მიერ, რათა გამოეწვიათ ქართველი ხალხის დენაციონალიზირება. ეს ხელოვნური იარაღი აბნევს არა მხოლოდ სხვა ხალხებს, არა

მოდ თვით მესხებსაც. მესხები ქართველები არიან და მე მტკიან აღარ შეგახსენებთ ამას.

ჩვენ ჯერ კიდევ ძაძებში ვართ 9 აპრილის თბილისის ტრაგედიის გამო. დღეს კი ქართველი ხალხის ახალ ტრაგედიას ვხედავთ უზბეკეთში.

რატომ მოხდა, რომ 9 აპრილს ასე სწრაფად, უსამართლოდ და სასტიკად გაუსწორდნენ მშვიდობიან მომიტინგეებს ჯარის საშუალებით? რატომ ფრეზანაში არ იყო დროულად ავიღებული მასიური სისხლისღვრა, რატომ არ იქნა და არც დღეს არის მიღებული გადაწყვეტილი ზომები მთავრობის მხრიდან? ხომ არ ეძებენ "მეორე" რელიონოსს, რათა კიდევ ერთხელ დაადასაშუალონ და გააშალონ ქართველი ხალხი - მესხები და გაამართლონ მათ მიმართ ჩადენილი ვანდალიზმი, მხეცობა და არადაამიანური აბურად ავლებენ? იქნებ სწორედ ესაა გარდაქმნა?

სტალინს იმ დროის ჯალათს უწოდებენ. თქვენ რაღას დაგარქმევენ ჩვენს დროში? ამის შესახებ არ ფიქრობთ?

ჩვენ გვწამდა, რომ 1944 წელს გადასახლების შემდეგ ძალადობა მტკიან აღარ განმეორდებოდა. მაგრამ როგორ შევავსოთ ექსტრემისტების აღვირახსნილობა, მასიური ტერორი, აბურად ავლება, მოხუცებისა და ბავშვების წამება, გაუპატიურება, შეურაცხყოფა გვამებისაც კი, საფლავების შეზიდვება, სახლების დაწვა და ა. შ.?

როგორ შეიძლება უზბეკი ხალხისა და მისი ხელმძღვანელების მიერ ასეთი სიმეცხისა და ვანდალიზმის დაშვების შემდეგ ეროვნებათა პალატის თავმჯდომარის მაღალი პოსტის ვანდოლი ნიშნავს, რომელმაც შეიძღოდა მკვლელობის ერთმართის ურთიერთობების საკითხები უნდა გადაწყვიტოს?

მხოლოდ იმის შემდეგ, როცა სწორად იქნება განსაზღვრული მესხთა ეროვნული კუთვნილების საკითხი და ჩვენც გაბმეცმემა პასუხი მიმართავებ, მაშინ საჯაროობაც გარდაქმნაც და დემოკრატიაც იტყვის თავისას.

პატივისცემით, საქ. სსრ ხაშურის რაიონში მცხოვრებ მესხთა სახელით
ბადრი მეტონიძე.
20 ივნისი, 1989 წელი.

ბარბოზი გამოიყვანი ქართული უფროაღის - გუშაგის მე-19 ნომერში გამოქვეყნებული მისი რედაქციის 2-ე გიორგი წერეთლის სტატია შესახებ, რომელშიც კარგად ჩანს, თუ როგორ უტყობიან მესხების პრობლემას ჩვენი საზოგადოებრივი თანამემამულენი. გვაგაზობს ამ სტატიას:

"მესხების ტრადიცია გრძელდება"

ივნისის დამდეგიდანვე ყოველდღიურად ქვეყნდება დასავლეთში საბჭოთა ოფიციალურ წყაროებიდან მიღებული შემაშფოთებელი ცნობები, საბჭოთა უზბეკისტანში საერთოდ და განსაკუთრებით ფრეზანას რაიონში უზბეკ უმრავლესობის მიერ «თურქ-მესხ უმცირესობათა რბევისა და ხოცვა-ძლევის შესახებ. 7-8 ივნისისათვის მუდამ ოფიციალური ცნობები (სხვა არ არსებობს. რესპუბლიკაში სამხედრო წესებია, უცხოელებს იქ არ უშვებენ), 80 მოკლული და 500 დაჭრილი, მრავალი გაუპატიურების შემთხვევები, გადაბუჯულ-გატივებული საცხოვრებელი შენობები, დატაცებული ქონება-სარჩო-საბადებელი. ბოლოს და ბოლოს გადაარჩენილ II თასამდე «თურქ-მესხს ჯერ ბანაკებში მოწყობეს თავი და შეშვებ, ხელისუფლებამ განცხადებით, სადაც რუსეთის რესპუბლიკაში იყვენ ევაკუირებული. აღსანიშნავია, რომ მეტად სერიოზულ უწესრიგობას ადგილი აქვს მეზობელ ტაჯიკეთსა და თურქმენეთში არა მხოლოდ მესხების წინააღმდეგ, არამედ რუსების წინააღმდეგაც.

გუტყობით გახეობებში გამოქვეყნებულ ამ «თურქ-მესხთა სურათებს, საიდანაც მიუხედავად ასეთი საშინელებათა გადახედობისა, ამყავდა, ღირსებით შემოგვეტყვიან ყმაწვილთა და ხანდაზმულთა ტიპური ქართული სახეები, რა სარწმუნოებისაც არ უნდა იყვენ ისინი, თავიდათავი ისაა, რომ ისინი ქართული სისხლისა და გენების მატარებლები არიან. განა შეიძლება ეწოდოს ქართველი, ვისაც ამ უბედურ ქმების 45 წლის ტრადეცია არ შესძრავს, არ აღაშფოთებს? საბჭოთა სახელმწიფომ მატერი-ალურად და მორალურად უნდა დაუყოვნებლივ უზრუნველყოფს, სამშობლოს დაუბრუნოს, მისგან აყრილი და შორს გადასახლებული ეს ხალხი» («გუშაგია» №19, პარიზი, 1989).

ა. წ. 16 ავგისტოს გაბ. "სახალხო განათლებაში" დაიბეჭდა ახალქალაქის საშუალო სკოლის დირექტორისა და რუსთაველის საზოგადოების რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის ხ. თევდამის შენიშვნა - "ჩვენი აზრი", რომელიც შეეხება მესხთა "ზოროტრიქმელებებს" სამხრეთ საქართველოში. მოგვყავს ციტატა: 1918-1920 წწ. ჩვენი რეგონის მცხოვრებლებმა იმდენი რბუა და ტანჯვა იტყვეს ამ "ქართველებისაგან", რომ მე სრულად ზედმეტად მიმართია მათ ჩამოსახლება კი არა, ამანვე დაპარაკოვ კი. ეს მარტო ჩვენი აზრი როდია გაბეჭდილ შეიძლება ითქვას, მუდმი რაიონის მცხოვრებთა აზრია". (ხაზი ჩვენი რედა.)

რომ არავფირი ვთქვამთ 1918-1920 წლების ისტორიული სურათის ობიექტურობაზე და მასზე, რომ იმ უზღვევრთა ჩამოსახლებას აღნიშნულ რეგონში, თანაც განურჩევლად და ერთბაშად არავინ აპირებს, არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ ს. თევდამის მიერ გამოთქმული "მათი აზრის" მიღმა მდგომი მოსახლეობის ვინაობის საკითხი. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია ახალქალაქის მოსახლეობის 90% არაქართველია. ეს ის მოსახლეობა გახლავთ, რომელიც კარგა ხანია მიტინგებს მართავს დახარალებულ ქართველთა (ავსარედა) იქ ჩასახლების წინააღმდეგ და რომელიც, სხვათა შორის, სამცხე-ჯავახეთს თავის საკუთრებად აცხადებს. აი, ხედავთ, ვის აზრს გამოხატავს პატივცემული დირექტორი? იგი მესხებს, - მათაც კი, ვინც ნახევარსაუკუნოვანი ღვინის მიუხედავად ქართველობა შეინარჩუნა, სამშობლოში მაინც უარს ეუბნება, დაუძინებელ მტრად აცხადებს. ხოლო ახალქალაქის რაიონის არაქართველებს ყველმხრივ ერთგულობს. რაც მთავარია, ს. თევდამის მათი აზრი იმდენად გაუთავისებია, რომ ღამის რუსთაველის საზოგადოების აღვირახსნივი ორგანიზაციის უმთავრეს სამოქმედო პროგრამად აქციოს იგი.

საქართველოში ანტიმესხური ისტორიის ერთ-ერთი მიზეზი უყოფ უცხო ტომთა მიერ ქართული მიწების შენარჩუნებისათვის გამართული ბრძოლაა. საწყენია, რომ ამ საქმეში მათ უნებლიედ რუსთაველის საზოგადოებაც უმაგრებს ზურგს. კირილე კალმანოვი

21-22 ავგისტოს ლატვიის დამოუკიდებლობისათვის მოძრაობის ინიციატივით რიგაში შედგა ერთა თვითგამორკვევის საკითხისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია. კონფერენციაში მონაწილეებდნენ როგორც საბჭოთა კავშირის ოკუპირებულ ერთა განმათავისუფლებელ მოძრაობათა წარმომადგენ-

ლები, ასევე დასავლეთის ქვეყნების საკანონმდებლო ორგანოთა წარმომადგენლები, იურისტები და პოლიტოლოგები. რიგის კონფერენციაში მონაწილეობას ღებულბდნენ საქართველოს სხვადასხვა არაფორმალურ გაერთიანებთა, მათ შორის ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წევრები.

28 ავგისტოს ოპერის ბაღში ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ გამართა მიტინგი, რომელიც მიიქცა 1924 წლის აჯანყების 65-ე წლისთავს. გ. მომსველევამა - ჯუმბერ კოპალიანი და ზურაბ ჭავჭავაძემ ილაპარაკეს აჯანყების მინიკებზე, მის მონაწილეებზე, აგრეთვე დღემდე არ აღიკვეთ ვითარებაზე საქართველოში.

წინასწარ ჩვენებანი

27 აგვისტოს ჩატარდა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა რიგგარეშე არჩევნები. ყველანაირი საარჩევნო ოქმები კენჭს იყრდნობდა საქართველოს სახალხო ფრონტის განცხადებით წვერი და ილია ჭავჭავაძის საზოგადოების დახმარებით წვერი ბენი ნიკო ჭავჭავაძემ, რომელიც დეპუტატობის კანდიდატებს შორის ყველაზე მეტი ხმა - ხმის მიქცევითა 62 % მიიღო, მაგრამ ვინაიდან სსრკ უმაღლესი საბჭოსაგან განსხვავებით, საქართველოს უმაღლესი საბჭოს არჩევნებისას ძველი კანონი მოქმედებს და ყველაზე კი ამომრჩეველთა მხოლოდ 65 %-მა მიიღო არჩევნებში მონაწილეობა, ყველანაირი საარჩევნო ოქმები დეპუტატად ვერ გადიოდა და უნდა დაინიშნოს დამატებითი არჩევნები. ყველაზე მეტი ხმით წინასწარჩვენო კანდიდატის თან ახლდა საკმაოდ ნიშნავალი რაოდენობის მომხრეები, რომელთა გათვალისწინება არ უნდა იყოს.

ყველანაირი საარჩევნო ოქმები 24 აგვისტოს ნომერში მოათავსა ვრცელი ინტერვიუ დეპუტატობის კანდიდატთან ბენი ნიკო ჭავჭავაძესთან, მაგრამ აღნიშნული ნომერი არ გამოვიდა არც 24-ში, არც 25-ში და არც 26-ში. გაზეთი რომ საში დღის მანძილზე არ გამოდის, ეს თითქმის საგანგებო მდგომარეობა უნდა იყოს (ასეთი რამ მოხდა სოხუმში, როცა აფხაზებმა „საბჭოთა აფხაზეთის“ სტამბა დააბრუნეს!) და სათანადო რეაგირებას იწვევდა, მაგრამ არც გაზეთის რედაქცია, არც პარტიის რაიკომი და რაიკომები, რომელთა ორგანიზაციული წარმომადგენლები რაიკონული გაზეთი, ამ ფაქტით „აბრაშაძე“ არ დაინტერესებულან! ისევ ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ყველანაირი რაიკონული განყოფილების წევრებმა ასტრეხის განგაში, გურჯაანის სტამბაში 26 აგვისტოს საღამოს აღმოაჩინეს გაზეთი „ყველა“ 24 აგვისტოს ნომრის ტირაჟი და არჩევნების წინა დღეს ვეცადინა საღამოს დროს რაიკონული განყოფილების წევრებმა რაიკომში „აბრაშაძე“ ნომრისა, ტირაჟის აბსოლუტური უმრავლესობა კი არჩევნების დამთავრების შემდეგვე მიიღეს ამომრჩევლებმა. რა შეიძლება ეწოდოს ამ უმრავლესობას, აუარსა სკანდალური უხეში ჩაბრუნა ხელისუფლების წინასწარჩვენო კანდიდატისა? და ამან ხომ თავისი შედეგი გამოიღო - არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა მხოლოდ 65%-მა, ისიც აღსანიშნავია, რომ ილია ჭავჭავაძის საზოგადოების და სახალხო ფრონტის ყველანაირი რაიკონული განყოფილებათა მიერ განხორციელებულ მოწოდებებს (დეპუტატობის კანდიდატის ბენი ნიკო ჭავჭავაძის მხარდასაჭერად) უფრო მეტი რაიკონული ორგანიზაციის დახმარება ანაღურებდნენ, ისე რომ დღემდე რაიკონული განყოფილებების მოწოდებების გაკვეთა ურასა-დაიშავდა ადგილას. ყველაფერი ეს თქმა არ უნდა, ყველაფერი იმისათვის, რომ მოსახლეობამდე არ მისულიყო ობიექტური ინფორმაცია ბატონი ნიკოს შესახებ.

ბენი ნიკო ჭავჭავაძის არჩევნებში დაუპირისპირდა რუსთაველის საზოგადოების ყველანაირი განყოფილების თავმჯდომარე თ. შაოშვილი. კანდიდატი პირობას სდებდა - თუკი ამირჩევა, პროგრესულ დეპუტატებს მხარში ამოვიდგებით. მაგრამ მალევე გაიჭიკა, რომ ეს დაპირება პროპაგანდისტული სვლა ყოფილა - ამჩვენებდა შეხვედრებში შაოშვილმა განაცხადა: არჩევნებში მონაწილეობას ყველანაირი რაიკომის მდივანი რომ იღებდეს, ჩემს კანდიდატობას მოგსანიღობ!!! ამ სიტყვების შექმნილ ან რაიკომის მდივანს მიეღებოდა, ან კომპარტიას. ერთი კი ნათელია: ამგვარი პირინციპების - კაცი ეროვნული ინტერესების დამცველად, ჩვენის აზრით, ვერ გამოდგება.

რაკილა თებერვალში ახალი შემადგენლობის უმაღლესი საბჭო უნდა ავირჩიოთ, და ხელისუფლება უპიკედოდ ეცდება ანალოგიური პროცედურების მოწყობას, აქედანვე ყველაზე უნდა იცოდეს, რომ გაუშუქებელი არ დაჩრება ეროვნული მოძრაობასთან დაპირისპირების არცერთი კონკრეტული შემთხვევა!

გაზ. „თბილისი“ 22 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებულია წერილი - „ასოციაცია „ლაბრუნება“ უარება“, რომელიც რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული ასოციაცია „ლაბრუნება“ ამტკიცებს, რომ შეუძლებელია „საქართველოდან გასახლებული თურქების მასობრივი ჩამოსახლება“.

რა შეიძლება ითქვას ამის შესახებ? თუ მოყვანილი ფრაზა („თურქების მასობრივი ჩამოსახლება“) მართლა ასოციაციის ეკუთვნის და კორექტურული შეცდომა არაა, მაშინ გამოდის, რომ ასოციაცია ღია კარს ამტკიცებს, რადგან საქართველოში აღბათ ერთი ქართველიც არ მოიძებნება, რომელსაც სურდეს თურქთა არათუ „მასობრივი“ ჩამოსახლება, არამედ თუნდაც თითო-ორი ასოციაციის მხარეში. მაგრამ აქ არც ღია კარის მტკიცება და არც კორექტურული შეცდომა. საქმე ისაა, რომ ასოციაცია „ლაბრუნება“ 1944 წელს საქართველოდან სტალინ-ბერიას მიერ გასახლებულ მასობრივ მოსახლეობას, ყველას ხელეწიფებდა „თურქს“ უწოდებს და არსად არ ახსენებს, რომ მათში თუნდაც ერთი ქართველი ერიოს. და რადგან საქართველოში არსებობენ ადამიანები (საბუნდოვანად, მათი რიცხვი იზრდება), რომლებიც ქართველობაში არსებობენ მისეზების დაბრუნების მომხრენი არიან, ასოცი-

გამოცდილება მართლაც დიდია
გაზ. „კომუნისტში“ (25.08.89) გამოქვეყნდა სრულად ჩინეთის ქალაქ ფილანციის დედაგანგისაგან საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის თ. ჩიჩკინის საუბრის მოკლე ანგარიში. მასში, სხვათა შორის, ნათქვამია: „საბჭოთა კავშირში და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკებში დიდი გამოცდილება შეიძინეს გარდაქმნისა და სამეურნეო, პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემების რეფორმის დარგში, რომელთა მიზნები და მიზნები ესოდენ ახლებელია ორივე ქვეყნისათვის“. (ხაზი ჩემია კ.კ.)

თუ ამ საუბარში ნახსენები „შემდინელი გამოცდილება“ საზოგადოების დემოკრატიზაციის მოსურნე მშვიდობიანი დემონსტრანტებთან, ახალგაზრდობასთან დაუნდობელ ანგარიშსწორებას და იმ უყოფელ სისხლს შეეხება, რომელიც თბილისში - რუსთაველის პროსპექტზე და პეკინში - ტიან-ან მინის მოედანზე დაიღვარა, მაშინ მართლაც თამამად შეიძლება ითქვას, რომ სსრკ-სა და ჩინეთის მიზნები და მიზნები ესოდენ ახლებელია ორივე ქვეყნისათვის“.

სულთა გამოყენება მსგავსებით ვითარდება მოვლენები თბილისსა და პეკინში. „კარგად ღეწა“ კავშირშია კომპანიამ - სამხედრო მანქანამ. შესანიშნავად გამოჩნდა, რომ კომუნისტურ-ტოტალიტარული რეჟიმები ჰუმანიტარული დემოკრატიასთან წყაღ-ცეხის და მოკიდებულებაში არიან. ამასთან, სოციალისტურ ბანაკში თითქმის ერთდროულად გაჩნდა ქართული და ჩინური „ლაკმუსი“, ანუ საექსპერიმენტო რეგორები, რომლის ფორმალური და დიდალა იმაზე დამოკიდებულია, თუ სხაროდ რაგორ უზიარებას დაიჭერს მსოფლიო დემოკრატიული საზოგადოებრობა ამ ვანდალიზმით მიმართ. იმ შემთხვევაში, თუ მოწინავე მსოფლიო კვლავ პასიური ლინის, „სხვისი ჰირო - ლობეს ჩხრის“ პოზიცია ირჩია, მაშინ დიდი შანსია, რომ ძალადობას უფრო უარედ გასაქანი მიეცეს. ქართულ-ჩინური „ლაკმუსი“ ხომ იმისთვისაა შექმნილი, რომ დესპოტიკური რეჟიმის მოყვარულთა თვალთვალე დაინახონ, თუ რამდენად ენერგიულად იმოქმედებს პუმიანობი და დემოკრატია, რას და უპირისპირებს იგი რეაქციასა და ძალბრუნებას.

ჩვენს სურვილია, რომ თბილისისა და პეკინის წერტილები აღარ გავრცელდეს მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე. ამის მიღწევა კი მთელი დემოკრატიული ძალების შეშვიდრობითაა შესაძლებელი.

კარლო კაცსაძე
ილია ჭავჭავაძის საზოგადოება სამი-მარს უხედავს ამავე საზოგადოების წარმომადგენელს პარტიში ბენი ზაქარია ლაშქარაშვილს დის
თ ა მ ი რ ნ ა ს ა რ ი ძ ი ს
გარდაცვალების გამო.

აცია „ლაბრუნება“ ამას თვლის „თურქების“ ჩამოსახლების სურვილად! თანაც ამას პოპულარულ გაზეთში აქვეყნებს და ამ არეულ ღრუში ისედაც დაბნეულ ხალხს კიდევ უფრო აბნევს!

„დაბრუნება“ თუ „არდაბრუნება“

სამწუხაროდ, ხალხის ერთ ნაწილში დამკვიდრებულია შეხედულება, რომ რახან გასახლებული მოსახლეობა მასობრივად ჩამოსახლებისა, მათსადავე ყველა თურქია. მაგრამ ასეთი პრიმიტიული და არარეალისტური მიდგომა, ასეთი აღრევა რელიგიისა და ეროვნებისა, მიიტევება უსწავლელ და უბირ აღამიანს და არა რუსთაველის მალაღობის მატარებელ საზოგადოებასთან არსებულ ასოციაციას, რომელსაც, ბელის ირონიით, „ლაბრუნება“ ჰქვია!

კი მაგრამ, - იკითხავს გაკვირვებული მკითხველი, - მაშ ვის აბრუნებს „დაბრუნება“? ვის აბრუნებს და რუსთაველი მცხოვრებ ქართველებს, რომლებიც უმეტესად საკუთარი ნებით არიან იქ წასულები და არც მანინდამიანც ვინმე ერეკება იქიდან ცე-

ცხლითა და მხვილით! ჩვენ, რა თქმა უნდა, მივსადავებთ მათ დაბრუნებას საბჭოში, მაგრამ მრავალჯერად მესხების ბელი მათ ბედთან რა შესადავებელია? განა მესხებს ათასგზის მეტი ყურადღება, ღმობიერება, სიყვარული და მართლაც დაბრუნება (ყოველგვარი თვალსაზრისით) არ სჭირდება?

სხვათა შორის, ისიც ბელის ირონიითა, რომ ასოციაცია „ლაბრუნება“, რომელიც ნაწილია რუსთაველის საზოგადოებისა, თურქებს უწოდებს და დაბრუნებაზე უარს ეუბნება თვით რუსთაველის მშობელი ხალხის ბედკრულ შთამომავლებს, და, ვინ იცის, იქნებ თვით რუსთაველიც, ვგულისხმობთ გასახლებული მოსახლეობის ქართულ ნაწილს).

„სიყვარული ალგამალებს!“ - ბრძანებს დიდი რუსთაველი.

ჩვენ კი, სამწუხარო აუცილებლობისა გამო, რუსთაველის საზოგადოებასთან არსებულ ასოციაციას რუსთაველისავე სიტყვებს შევკადრებთ:


„შენ არ ჯერ-ხარ, უსწავლელი კაცნი ვთმავა შევაჯერენ?!“
ანზორ აბუქანდაძე

რუსული ხიზტის კაბლი საქართველოში

თითქმის 200 წელია, რაც საქართველო რუსული ხიზტის ქვეშ გიმინავს. თუ რა უბედურება მოუტანა ქართველ ხალხს მეფისა და საბჭოთა რუსეთის იმპერიამ, საყოველთაოდაც ცნობილია. ამ ხიზტით დაიპყრეს საქართველო 1801 წელს. ამ ხიზტით ჩაახშეს 1802, 1804, 1810-12, 1819-20 და სხვა წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი აჯანყებები საქართველოში. ამ ხიზტით დაიპყრეს ხელმძღვრელ ცოტა ხნით განთავისუფლებული საქართველო 1921 წლის თებერვალში. მოკლედ, ამ ხიზტით დაეცა სისხლისაგან საქართველო!

და პირი, საკვირველებაც! რუსეთის იმპერიის ბატონობის სიმბოლოს - რუსულ ხიზტს მეგლი დაუდგეს საქართველოში! ვისაც განიტრეხებთ მისი ნახევრები, გიძლიანთ კავშირებთან თბილისიდან მარნეულში და სოფ. კლასთან, უშუალოდ მთავარ გზასთან იხილავთ მას.

ჯუმბერ კოპალიანი



ლია ვაჩილიძე

საქართველოს ტელევიზიისა და რადიო-მაუწყებლოების სახელმძღვანელო კომიტეტის თავმჯდომარის ბენი არჩილ შაოშვილის საქართველოს შესახებ მსოფლიოში სისტემატურად ვრცელდება არასრული და ხშირად ყალბი ინფორმაცია.

მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირში შეწყვიტა დასავლეთის რადიოსადგურების ჩახშობა, ჩამოშობი სადგურების გამოთავისუფლებულ სიმბლავრებს მოსკოვის რადიო იყენებს უცხოეთისათვის რადიომაუწყებლობაზე და რესპუბლიკათა რადიოების რეტრანსლაციისათვის.

საქართველოში არსებული ჩამოშობი სადგურების შესაძლებლობანი ჩვენ უნდა გამოვიყენოთ მსოფლიო ეთერში საქართველოს რადიოს დამკვიდრებისათვის. საქართველოს ხმა მსოფლიოს მირითად ენებზე უშუალოდ თბილისიდან უნდა ისმოდეს, რადგან საქინფორმი-საკლესის ცენზურის გავლთ მსოფლიოში ინფორმაცია საქართველოს შესახებ და მახინჯებულად გადის.

გამთავისუფლებული სიმბლავრების გამოყენება შეიძლება ქუთაისის, ბათუმის, ცხუპის და ცხინვალის რადიოგადამცემთა რეტრანსლაციისათვის. პირდაპირი ინფორმაციის მიღება საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან

ჩვენთვის სასიცოცხლო აუცილებელია გახლავ. საქართველოს ტელევიზიის მეორე პროგრამაში ჩართულ უნდა იქნას აჭარისა და აფხაზეთის ტელევიზიის პროგრამები. თბილისსა და მთელ საქართველოს საშუალება უნდა აქონდეს უშუალოდ ადვენოს თვალში, თუ რა ხდება ჩვენს სამშობლოში. ბოლოს და ბოლოს ჩვენ უნდა ვიცოდეთ ისიც, თუ რას ქადაგებენ და რისკენ მოუწოდებენ საქართველოს მკვიდრთ, ქართველებსა თუ არაქართველებს ტურჩანინოვები, ტყვეარჩილნი „რუსი მასპინძლები“ თუ სხვანი.

იმედია, საქართველოს რადიო და ტელევიზია შესძლებს ამ მცირელი წვდოლის შეტანას რესპუბლიკის სუვერენიტეტის დამკვიდრების საქმეში.

პატრივისცემით
გუდა აფაქიძე

1989 წლის 5 სექტემბერს გამოვიდა ილია ჭავჭავაძის საზოგადოების სოხუმის განყოფილების გაზეთის „ბედისა“ პირველი ნომერი. ამავე დღეს გამოსვლა დაიწყო ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ყველანაირი განყოფილების გაზეთთა „ფორუმი“.

„ივერია“ გულითადად მიესალმება „ბედისა“ და „ფორუმს“! ივერიის ღვთისმშობელი იყოს თქვენი მფარველი, ჩვენთა და მათგანთა!

ყოველ ხუთშაბათს 19 საათზე ვაკის პარკში შადრევნის გვერდით ილია ჭავჭავაძის საზოგადოება მართავს შეხვედრებს და ინტერესებულ საზოგადოებრობასთან, სადაც მიიღებთ ინფორმაციას გასული კვირის შესახებ და მომავალი კვირის ჯგუშებზე, აგრეთვე პასუხებს თქვენთვის საინტერესო კითხვებზე. აქვე შეგიძლიათ მიიღოთ გაზეთი „ივერიის“ მორიგი ნომერი.

რედაქტორი მამარ ჩხიშიძე /ტელ: 23-38-84/
სარედაქციო კოლეგია: ანზორ აბუქანდაძე, ბუბა აბაშიძე, ირაკლი ბანძიძე
/ტელ: 66-27-27/, ანზორ აბუქანდაძე, ზურაბ ჭავჭავაძე /ტელ: 39-14-16/.
საზოგადოების დროებითი მისამართი: ლენინის ქ. 2, III სართ. ტ: 93-39-32